

## გაყიდვა


გაყიდვებში რეგისტრირდება საქონლის, მომსახურების ან სხვა აქტივების რეალიზაციის ოპერაციები.

რეალიზაციის შექმნის რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

- დოკუმენტის შექმნა ხელით
- ფაილიდან ჩატვირთვით ([როგორ ჩავტვირთოთ გარე ფაილიდან მონაცემები](#))
- სასაქონლო ზედნადებიდან შევსება ([როგორ ჩამოვტვირთო რეალიზაცია სასაქონლო ზედნადებიდან](#))
- ანგარიშ-ფაქტურიდან შევსება ([როგორ ჩამოვტვირთო რეალიზაცია გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშ-ფაქტურიდან](#))

## რეალიზაციის შექმნა

- ძირითად მენიუში აირჩიეთ გაყიდვების ქვესისტემა
- გაყიდვების ოპერაციების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „რეალიზაცია“
- დააჭირეთ „შექმნა“ ღილაკს
- აირჩიეთ ოპერაციის ტიპი ოპერაციის შინაარსის მიხედვით



- აირჩიეთ მყიდველი
- აირჩიეთ ანგარიშსწორების ვალუტა. მყიდველის არჩევის შემდეგ ველი ავტომატურად ივსება მყიდველის ბარათზე მითითებული „ვალუტის“ მნიშვნელობის შესაბამისად. ასევე ავტომატურად ივსება ველი „ვალუტის კურსი“ არჩეული ვალუტისა და დოკუმენტის თარიღის მიხედვით. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია როგორც ვალუტის, ისე მისი კურსის ცვლილება.


## ანგარიშსწორების ანგარიშები

მყიდველის არჩევისას ივსება ანგარიშსწორების და დღგ-ის ანგარიშები მყიდველის ბარათზე მითითებული მნიშვნელობების მიხედვით ([როგორ ავანჯო მყიდველის აღრიცხვის ანგარიშები](#)).

The screenshot shows the 'რეალიზაცია (შექმნა)' window in the accounting software. A dialog box titled 'ანგარიშსწორები' is open, allowing the user to select the 'მყიდველის ანგარიში' (Buyer's account) and the 'ავანსის ანგარიში' (Advance account). The 'მყიდველის ანგარიში' is set to '1410 01' and the 'ავანსის ანგარიში' is set to '3120'. The background window shows a table with columns for 'N', 'არტყული', 'ნომენკლატურა', 'ერთ.', 'სერია', 'რაოდენობა', 'ფასი', 'ფასდაკლება %', 'ფასი ფასდაკლები...', and 'თანხა'. The 'მყიდველი' field is set to 'BASC - Accounting Service' and the 'ავალუბა' is 'GEL' with a value of '1.0000'. The 'მყიდველის ტიპი' is 'მიწოდება კომუნსაციით'.

## გადასახადები

გაყიდვის ოპერაციასთან დაკავშირებული გადასახადების შესახებ ინფორმაციის დათვალიერება და ცვლილება შესაძლებელია „გადასახადების“ ლინკზე დაჭერით. ლინკის დასახელება ავტომატურად ფორმირდება გადასახადების პარამეტრების მიხედვით. აღნიშნული ველები ავტომატურად ივსება არჩეული მყიდველის და ოპერაციის ტიპის მიხედვით.



## ცხრილის შევსება

იმისდა მიხედვით თუ რა არის რეალიზაციის ობიექტი (საქონელი, მომსახურება თუ რაიმე სხვა აქტივი), უნდა შეივსოს „ნომენკლატურის“ ან „სხვა აქტივების და მომსახურების“ ჩანართი.

„ნომენკლატურის“ ჩანართი გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ ხდება საქონლის ან ისეთი მომსახურების რეალიზაცია, რომლის გაყიდვა რეგულარულია და შემოსავლისა და დღგ-ის ანგარიშები წინასწარგანსაზღვრულია. ნომენკლატურის ჩანართის შევსება შესაძლებელია „შერჩევა“ ლილაკით ([როგორ შევარჩიო ნომენკლატურა](#)).

## ნომენკლატურის ჩანართის შევსება

ველი	აღწერა
ნომენკლატურა	გაყიდვის ობიექტი (საქონელი ან მომსახურება) აირჩევა ნომენკლატურის ცნობარიდან.
ერთ.	ზომის ერთეული, რომელშიც ხდება საქონლის ან მომსახურების რეალიზაცია. მითითებულია ნომენკლატურის აღრიცხვის პარამეტრებში
რაოდენობა	გასაყიდი რაოდენობა
ფასი	ფასი, შეივსება დოკუმენტში მითითებული ფასის ტიპის მიხედვით, თუ ფასი დადგენილია.
დღგ-ის განაკვეთი	ავტომატურად ივსება ნომენკლატურაზე განსაზღვრული მნიშვნელობით: „ჩვეულებრივი“, „ნულოვანი“ ან „არ იბეგრება“.
თანხა	გაიანგარიშება ფასისა და რაოდენობის ნამრავლით
თანხა დღგ-ის ჩათვლით	სრული თანხა დღგ-ის ჩათვლით. თუ გადასახადების ფანჯარაში მონიშნულია ალამი „ფასი შეიცავს დღგ“-ს იგივეა რაც თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიემატება დღგ.

## სხვა აქტივების და მომსახურების ჩანართის შევსება

„სხვა აქტივების და მომსახურების“ ჩანართი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ ხდება სხვადასხვა ტიპის მომსახურების ან გრძელვადიანი აქტივის რეალიზაცია.

სხვა აქტივების და მომსახურების ჩანართის შევსება:

ველი	აღწერა
შინაარსი	ტექსტური ველი, სადაც მომხმარებელი მიუთითებს გაწეული მომსახურების ან გაყიდული აქტივის შინაარსს
თანხა	თუ გადასახადების ფანჯარაში მონიშნულია ალამი „ფასი შეიცავს დღგ“-ს უნდა მოხდეს დღგ-ის ჩათვლით თანხის მითითება, ხოლო თუ ალამი გამორთულია დღგ-ის გარეშე თანხა.
დღგ-ის განაკვეთი	„ჩვეულებრივი“, „ნულოვანი“ ან „არ იბეგრება“ მნიშვნელობებიდან ერთ-ერთი
დღგ-ის თანხა	გაიანგარიშება თანხისა და დღგ-ის განაკვეთის მიხედვით. გაანგარიშების წესი დამოკიდებულია ალამზე „ფასი შეიცავს დღგ“-ს.
თანხა დღგ-ის ჩათვლით	სრული თანხა დღგ-ის ჩათვლით. თუ გადასახადების ფანჯარაში მონიშნულია ალამი „ფასი შეიცავს დღგ“-ს იგივეა რაც თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში მიემატება დღგ.
დღგ-ის ანგარიში	ანგარიში, სადაც აისახება დარიცხული დღგ
შემოსავლების ანგარიში	ანგარიში, სადაც აისახება მიღებული შემოსავალი

„გატარება“ ან „გატარება და დახურვა“ ღილაკზე დაჭერით ხდება ოპერაციის დაფიქსირება და შესაბამისი ბუღალტრული გატარების ასახვა.


დოკუმენტის ბუღალტრული გატარებების დათვალიერება შესაძლებელია „Dr/Cr“ ღილაკზე დაჭერით.

### როგორ დავაფიქსირო ფასდაკლება რეალიზაციაში

გაყიდვის დოკუმენტებში შესაძლებელია ფასდაკლების დაყენება მექანიკურად მომხმარებლის მიერ. ამისათვის უნდა მოხდეს „მექანიკური ფასდაკლების გამოყენება“ ფუნქციონალური ოფციის ჩართვა.

- ძირითად მენიუში აირჩიეთ ადმინისტრირების ქვესისტემა
- აღრიცხვის აწყობების ჯგუფიდან აირჩიეთ მენიუს პუნქტი „გაყიდვები“
- მონიშნეთ ალამი „მექანიკური ფასდაკლების გამოყენება“

ფუნქციონალური ოფციის ჩართვის შემდეგ რეალიზაციის დოკუმენტის ცხრილურ ნაწილში გაჩნდება ველები „ფასდაკლება %“ და „ფასი ფასდაკლებით“



ფასდაკლების მნიშვნელობის თანხა გამოითვლება ფასდაკლებული ფასისა და რაოდენობის ნამრავლით, შესაბამისად დღგ-ისა და დღგ-ის გარეშე თანხაშიც მოხდება ფასდაკლების გათვასლიწინება.